


# გოდუძას

№12, 2016



# შობა!

თენდება,  
შობის დღე  
დგება.  
და გული  
მზის შუქით  
თბება.  
უფალი,  
ბავშვია  
ჩვილი.  
„ალილო“  
ეხვევა  
თბილისს.



# მოვედი, თქვენი მეკვლე ვარ

პატარა საბა გადელიას

ღვთის ნაფეხურებს გამოვყევ,  
გზა მედო ნათლის ფერისა,  
წინ მომიძლოდა ვარსკვლავი,  
ვით მზერა ღვთისმშობელისა.  
მოვედი,  
თქვენი მეკვლე ვარ!  
გახსენით გულის კარები,  
რომ სიყვარული გასმინოთ  
თვით უფლის დანაბარები;

რომ ძმა ძმას გვერდით დაუდგეს  
და თბილის გულიც გაუყოს,  
გავამთლიანოთ ქვეყანა,  
ძველ კოლხ-იბერთა საუფლო.

ანგელოზებმა არწიონ  
ჩვენი მომავლის აკვანი,  
ისე ვიმძლავროთ, საფლავშიც  
ხარობდნენ მამა-პაპანი.

თქვენი მეკვლე ვარ, გამიღეთ  
სახლის და გულის კარები,  
რომ სიყვარული გასმინოთ  
თვით უფლის დანაბარები!



# ზაზუების ფესსაცმელი

სკოლაში ზარის ხმა გაისმა. მეორე კლასის მოსწავლეები დამრიგებელმა მწკრივში დაწყობილები და ხელიხელჩაკიდებულები ეზოში გამოიყვანა და მშობლებს ჩააბარა, შემდეგ დამდეგი შობა-ახალი წელი ყველას მიულოცა, არდადეგებზე გემრიელად დასვენება უსურვა და სკოლაში შებრუნდა.

ასაკოვანმა ქალმა შვილიშვილს სკოლის მძიმე ჩანთა ზურგიდან მოხსნა.

– ბებო, მაგ პარკში რა გიდევს? – შეეკითხა გიორგი.

– შენ და ბაბუაშენს ფესსაცმელები გიყიდეთ...

– აუუ, მაჩვენე რა?! – შეეხვეწა პატარა.

ბებია და შვილიშვილი იქვე, ეზოში სკამზე ჩამოსხდნენ. ქალმა გიორგის ფესსაცმელი ამოიღო და მიაწოდა.

– რა კარგიაა! – ბიჭმა სიხარული ვერ დამალა, – ბაბუასიც მაჩვენე, რა!

– ახლა აქ ხომ არ დავინწყებთ თვალიერებას, სახლში როცა მივალთ, ორივემ მოიზომეთ, – გიორგი წამოაყენა და ეზოდან გავიდნენ.

როგორც კი ბინაში შევიდნენ:

– ბაბუუ, ბებომ ფესსაცმელები გვიყიდა, – ტელევიზორთან მჯდომ მოხუცთან მიიბინა გიორგიმ და პარკი გაუწოდა. ორივემ კუთვნილი ფესსამოსები ამოიღო და ჩაიცვა, შემდეგ სამზარეულოში მოფუსფუსე თამართან გავიდნენ, – ბებო, გვიხდება? – ეშმაკურად შესცქეროდა ბიჭი.

– გხატავთ, – ღიმილით მიუგო თამარმა, – ახლა ჩუსტები ჩაიცვით ხელები დაიბანეთ და მოდით, უნდა გასადილოთ.

დიდმა გიორგიმ პატარა გიორგი ხელში აიყვანა და დერეფანში გავიდნენ.

– ბაბუ, ვისაც მამა არ ჰყავს, იმასთან თოვლის ბაბუა რატომ არ მიდის?

– როგორ არ მიდის?! – გაიკვირვა მოხუცმა.

– აი, ჩემი კლასელი არჩილი რომ არის, მამა სამაჩაბლოში ომის დროს მოუკლეს და

დღეს მითხრა, ჩემთან თოვლის ბაბუა აღარ მოდისო.

– უი, შვილო, – აღმოხდა მოხუცს, – არა, ჩემო პატარავ, რალაცა გაუგებრობაა, თორემ თოვლის ბაბუა ისეთი კეთილია, რომ პირველ რიგში ობლებთან მიდის, – ბიჭი სკამზე დასვა, ფესსაცმელები გახადა და ჩუსტები ჩააცვა, ფეხზე თვითონაც გამოიცვალა და ორივე გიორგი აბაზანაში ხელების დასაბანად შევიდა.

სადილობისას პატარა გიორგიმ იკითხა:

– ბებო, დედა და მამა როდის ჩამოდიან?

– ალბათ, საშობაოდ.

– ოცდათერთმეტში ჩემი კლასელი „ბასტი-ბუბუში“ დაბადების დღეს იხდის და ვინ წამიყვანს?

– ბაბუაშენი, – მიუგო თამარმა.

– როდის? – იკითხა დიდმა გიორგიმ.

– ოცდათერთმეტში, სამ საათზე, ბაბუ.

– ოო, – ჩაფიქრდა ბაბუა, – არჩილი იქნება?

– კი, – თავი დაუქნია გიორგიმ.

– არა, მე ამ დღეს დაკავებული ვარ, ბებო წაგიყვანს, – ჩაფიქრებულ მოხუცს ღიმილმა ტუჩებზე ელვასავით გაჰკრა.

დღეები ერთმანეთს მიყოლებით ცვლიდნენ. ყველა ოჯახში საახალწლო სამზადისი გაჩაღებულიყო. ნაძვის ხეები სათამაშოებით ირთებოდა, ბავშვები თოვლის ბაბუებს წერილებს სწერდნენ, სამზარეულოებში დიასახლისები გოზინაყსა და საახალწლო კერძებს ამზადებდნენ, მოკლედ, საზეიმო განწყობილება ცელქი ბავშვივით ყველა ოჯახში დანავარდობდა.

ოცდათერთმეტიც დადგა. თამარმა შვილიშვილს ჩააცვა და „ბასტი-ბუბუში“ წაიყვანა, თან წუნუნებდა – ამ ახალ წელს რა დროს დაბადების დღეაო. სადღესასწაულო ცენტრში გიორგის მთელი კლასი შეკრებილიყო. იქაური პერსონალი ბავშვების გართობით იყო დაკავებული, როცა შუა დარბაზში თოვლის

ბაბუა შემოვიდა. დიდი წვერ-ულვაში ჰქონდა, ლოყები წითლად ალაჟღაჟებოდა, ულამაზესი სათოვლისბაბუო ტანსაცმელი ემოსა.

– გამარჯობა, ბავშვებო, – რობროხა ხმით წარმოთქვა. ზურგიდან დიდი ხურჯინი მოიხსნა, იატაკზე დადო, სკამზე ჩამოჯდა, – ძალიან დავიღალე, შორი გზიდან მოვდივარ, მაგრამ, პირველ რიგში, მინდა ელენეს დაბადების დღე მივულოცო, – ხურჯინიდან პატარა პარკი ამოიღო, იუბილარი თავისთან იხმო, მიეფერა, აკოცა და საჩუქარი გადასცა.

იქ მყოფი უფროსები, განსაკუთრებით „ბასტი-ბუბუს“ თანამშრომლები, დაუპატიჟებელ თოვლის ბაბუას გაკვირვებულები შესცქეროდნენ.

– ბავშვებო! – განაგრძო თოვლის ბაბუამ, – მინდა, არჩილი მოვიდეს ჩემთან! – გადახედა პირდაღებულ პატარებს. შეკრებილ ბავშვებს ერთი ბიჭი გამოეყო და თოვლის ბაბუას წინ დაუდგა. კეთილმა მოხუცმა ბავშვი აიყვანა და მუხლზე დაისვა:

– ბავშვებო, ხომ იცით, რომ ამაღამ ყველას გესტუმრებით და დაგასაჩუქრებთ?!

– დიიხ! – გაისმა დარბაზში.

– ჰოდა, მე, უამრავი საქმის მქონეს, არჩილის მისამართი დაკარგული მქონდა. ამიტომაც წინა წლებში მასთან ვერ მივედი. ახლა გავიგე, რომ გმირი მამის შვილი აქ იქნებოდა და გადავწყვიტე, ბევრი საჩუქარი გადავცე, – თოვლის ბაბუამ ხურჯინიდან დიდი პარკი ამოიღო, ბიჭი გულში ჩაიკრა და საჩუქარი მიანოდა. ბავშვი ჩამოსვა, თვითონ წამოდგა, იქ მყოფთ დაემშვიდობა და გავიდა.

ზეიმი გაგრძელდა. ბავშვებმა ბევრი იმხიარულეს, გემრიელი ტორტითაც ჩაიტკბარუნეს პირი, შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ და უფროსებმა სახლებში წაიყვანეს. სახლში მისვლისთანავე გიორგი ბაბუასკენ გაიქცა:

– ბაბუ, ბაბუ, – მიირბინა ტელევიზორის წინ მჯდომ მოხუცთან.

– რა იყო, ბაბუ?

– თოვლის ბაბუა მართლა კეთილი ჯადოქარია, – აღფრთოვანებას ვერ მალავდა გიორგი.

– რატომ, ბაბუ?

– დღეს „ბასტი-ბუბუში“ მოვიდა და არჩილს ბევრი საახალწლო საჩუქარი მოუტანა, თურმე მისამართი ჰქონია დაკარგული

და მასთან იმიტომ ვერ მიდიოდა. ბაბუ, იცი, რა შევამჩნიე?

– რა, ჩემო სიცოცხლევ?

– რა და, თოვლის ბაბუას, ბებია მ რომ გიყიდა, ზუსტად ისეთი ფეხსაცმელები ეცვა...

– ეგ არაფერია, ბაბუ, – თავზე ხელი გადაუსვა მოხუცმა, – ეგ ხომ ბაბუების ფეხსაცმელია და თოვლის ბაბუასაც ეცმებოდა, მიხვდი?

– ააა, – ჩაეხუტა ბაბუას კმაყოფილი გიორგი.



## სახალხო სურვილები



ვით ნუ ხარ ენაჭარცალა,  
არ დაჩაგრო შენზე უფრო პატარა.

ნუ იქნები შენ ვით ბრიყვი,  
თხაფარი-როგორც ცყეში ,



ვით მშიშარა ნუ იქნები,  
სწავლა იყოს შენი საქმე, თიქრები.

სიჯიუცე სავით რას გარგია!



ვით ყოყონობა კარგია?!

იყავ გაძრჯე, ვით ზუზუნა ,  
და სიმართლე ყველას პირში უთხარი!

## მათემატიკური პირამიდა

				?							
		9	+	1	=						
		8	-	1	+	2	=				
		6	+	2	-	4	+	5	=		
	9	-	3	=			5	+	4	=	
5	-	3	=			10	-	6	+	1	=
7	+	2	=			8	-	2	+	3	=

ამოხსენი მაგალითები, შეადარე ერთმანეთს მიღებული პასუხები და პირამიდის ზედა უჯრაში ჩანერე ის ციფრი, რომელიც ყველაზე ხშირად გამეორდება პასუხში.

შეადგინა ნინო ორჭილა

# ზანზარას და ჩუს თავგადასჯადი

ტექსტი ლელა ცუცქირიძისა  
მხატვარი იულია ნიკოგოსოვა

## ზანზარამ და ჩუმ ბავშვები გაახარეს

– რას ჩაფიქრებულხარ? სულ როგორ უნდა ფიქრობდე?

– სადაცაა, ახალი წელი დადგება. ჩვენს მეზობელ ბავშვებს კი ნაძვის ხე არ აქვთ.

– უჰ, მაგაზე დარდობ? ახლავე გავზანზარდები ტყეში, ყველაზე დიდ ნაძვს ამოვთხრი და ბავშვებს მივუტან.

– აბა, რას ამბობ, არ გრცხვენია? ასე რომ ყველამ ამოთხაროს და მოჭრას ნაძვი, აღარც ტყე გვექნება და აღარც სუფთა ჰაერი. იცი, ნაძვის გაზრდას რამდენი წელი სჭირდება? 15 და მეტიც. ან ის თუ იცი, რამხელა სიკეთეს გვიკეთებენ ხეები.

– საიდან უნდა ვიცოდე? მითხარი და მეცოდინება.

– ნაძვიც და სხვა ხეებიც ფესვებით მიწას და წყალს აკავებენ, ტოტებით – ქარიშხალს, ფოთლებით და წიწვებით ჰაერს გვისუფთავენ. სიცხისგან გვიცავენ.

– უჰ, რას ამბობ. პირობას გაძლევ, ხეებს არც მოვჭრი და არც ამოვთხრი. სხვა რამეს მოვიფიქრებ.

**ზანზარამ ოთახში დაიწყო**

**წინ და უკან სიარული,**

**მერე უცაბ ისე შეხტა,**

**თავი ჭარს მიარტყა და შუბლზე**

**კოვი ამოუვიდა.**

– აბა, შემხედე, რა ფერი ვარ?

– რა ფერი და მწვანე.

– ჰოდა, მე ვიქნები  
ნადვის ხე! ახლა კარგად  
მომრთე წვიმებით  
და ბრჭყვიალა  
სათამაშოებით და  
ჩემი ფეხით მივალ  
ბავშვებთან.



– რა კარგად  
მოიფიქრე, ყოჩად!  
მე თოვლის ბაბუა  
ვიქნები, მსუქანი კი  
ვარ და...



– ახალ წელს გილოცავთ,  
ბავშვებო! გამოდით  
სახლებიდან, ერთად  
შევხვდეთ ახალ წელს!



– მართლა  
გაგახარეთ?

– ძალიან!

– ჰოდა, ძალიან კარგი!  
ერთად შევხვდეთ  
ახალ წელს, ერთად  
ვიმღეოთ, ვიცეკვოთ  
და ვიმხიარულოთ.




– ბედნიერ ახალ  
წელს, ჩვენო  
საყვარელო  
ბავშვებო!

– ბედნიერ ახალ წელს,  
ჩვენო საყვარელო  
ზანზარა და ჩუ!

დასასრული

# იცილება ძველი წელი!

ვზივარ და ვფიქრობ: ნეტავ, სად მიაქვს თოვლის ბაბუას ძველი წელი? იქნებ იქ, სადაც ცხოვრობს, საგანგებო მაღაზიაა? იქნებ ძველ წელს დახლზე გამოფენს და მიაწერს:



საინტერესოა, რა ეღირება ძველი წელი? იმის წინანდელი?

აი, ყულაბაში შეგროვებული ფული რომ არ დამეხარჯა და მეყიდა რამდენიმე ძველი წელი, თუნდაც არც ისე კარგ მდგომარეობაში...

მაგალითად... ნაკანრებით, ან პატარა ლაქებით, მურაბისგან რომ ჩნდება ხოლმე...

მოვიტანდი სახლში... უი, სახლში რომ არ შემოეტიოს?!

მაშინ ეზოში მივუჩენდი ადგილს, კაკლის ხესა და საკუჭნაოს შორის და ყველა მეზობელსა და ახლობელს მივცემდი მისი გამოყენების ნებას!

ხომ შეიძლება, ვიღაცამ წინა წელს საქმის დამთავრება ვერ მოასწრო, ან მეგობარს აწყენინა და ბოდიშის მოხდა დაუგვიანდა...


მერე იფიქრა, წინა წლის დანაშაულის გამო ამ წელს მობოდიშებას რა აზრი აქვსო, მაგრამ გული მაინც ვერ დაიმშვიდა... შემოვა ჩემს ეზოში და ყველაფერს გამოასწორებს...

მერე ყველა იტყვის: – რა ნიჭიერია ეს ბიჭი! როგორ ვერავინ მოიფიქრა აქამდე!





# თოვლის ბებოს ვეჯახეწია ახალი წელი



თოვლის ბაბუ გაბუტულა,  
ბუტე-ბუტე-ბუტია!  
აღარ მინდა ზამთარიო,  
ერთხელ ასე უთქვია:

„დავიღალე ღამდამობით  
საჩუქრების ტარებით  
წერილების კითხვითაც  
დამელალა თვალები!

უკვე დროა, დავისვენო,  
ზღვაზე მინდა გარუჯვა.  
ვნატრობ, ვკრიფო ყვავილები,  
ვჭამო მწიფე ალუჩა.

მწვანე ტყეში ვისეირნო,  
მინდა მეცვას შორტები.  
ვინუნაო ან წვიმაში  
ვისეირნო ბოტებით“.

თოვლის ბებო წერვიულობს,  
გამოსავალს დაეძებს:  
გაგონილა ახალწლობა  
თოვლის ბაბუს გარეშე?!

ბებო მიხვდა, რომ დიეტას  
ვერ გაუძლო ბაბუამ.  
თოვლსაც აღარ უმატებდა  
შაქარსა და საფუარს.



რაღა ექნა, აღიარა  
ბებომ დანაშაული.  
დაბზრიალდა და გაუნყო  
სუფრა თოვლის შაურმით.

მოუმზადა თოვლის ტორტიც,  
მერე თოვლის ხინკალიც.  
ყინულისგან გოზინაყიც  
გაუკეთა იმ ღამით.





თოვლის ბაბუც გაიძახის:  
„იფ, რა გემრიელია!  
გავახაროთ პატარები,  
დღეს ახალი წელია!“

არც ზღვა ახსოვს, არც ზაფხული,  
თეთრწვერას და მხიარულს,  
რა სჯობს ცაში ირმებიან  
მარხილებით სიარულს!

ეჰე-ჰეი, მღერის ცაში,  
ასი ზარი წკრიალებს,  
ყველა სიმღერებით ხვდება  
ყველგან ლხინით მიაგნებ.

მსუქანი და გულკეთილი,  
მხიარული ბაბუა  
ჩვენი ნატვრის ავტომობილს  
დაუბერავს საბურავს

და ჩვენც მასთან ერთად მუდამ  
ვიზეიმებთ ახალ წელს!  
სულ იქნება ისევ ისე,  
როგორც იყო აქამდე!





# ნადკის ხესთან

## ახალი წლის შოლოღინი

ზამთრის სუსხი გაძლიერდა და ღრუბლებში ფრთებსა შლიან, შიშველ ხეებს ფანტელები ფუტკრებივით ესევიაან...

მოდუნული, მონყენილი გადათეთრდა ეზო-კარი, შორი გზიდან მოაბიჯებს გათოშილი იანვარი.

მოდის, მოაქვს სიხარული, მოაქვს ნატვრა ყველა ბავშვის და სულ მალე თოვლის პაპა გვესტუმრება ყველას სახლში.

გვესტუმრება საჩუქრებით, სითბოთი და ღიმით სავსე, დაგვლოცავს და გაგვახარებს ახალი წლის ღამით ბავშვებს.

### ნათია ჯანაშია

### ვიჩქსეტი

დათუნია ღიპიანს რა ხანია გრიპი აქვს.

ათასგვარი წამალი სასთუმალთან უწყვია, ბუნაგიდან ცხრა დღეა, დრუნჩი არ გაუყვია.

მნახველებსაც არ იღებს, კარი ჩაურაზია, სიცხე ოცდაცხრამეტი და ჩვიდმეტი ხაზი აქვს.

სნეულ შვილებს სოროში ანუგეშებს მელია: „თქვენ კი არა, ვირუსებს დათვიც ვერ მოერია“.



### კობა ჭუმბურიძე

\*\*\*

ყვავს ბახალა ეკითხება:  
– როდის მოვა თოვლი, ბები?  
– შენ რას დარდობ?  
– რას და, თოვლში უფრო შავი გამოვჩნდები...



# წასავითხი ღექსები

თინიკო გოზიჩაშვილი



## ჯემალ დოგორჯიანიძე



### საახალწლო შოროცვა

ვარსკვლავმა გამოუგზავნა ბარათი ჩემს დას – ფიქრიას. ეს საახალწლო ბარათი თოვლის ფუმფულა ფიფქია.

## თოვლის ბუჩქი

თოვს და ბარდნის, ყველაფერი ირგვლივ თეთრად აპრიალდა. დიტო ციგას შემოაჯდა და დაღმართზე ჩასრიალდა.

თავი ველარ შეიკავა, გადმოგორდა, როგორც ბურთი, ბურთს ზევიდან დაასკუპდა ვეებერთელა მისი ქუდი.

წამოადგა თავზე თიკო, გააოცა თოვლის ბურთმა, – მას აქამდე არ ენახა ამოდენა თოვლის გუნდა.

კიდევ უფრო გაიკვირვა, როცა გუნდამ გახსნა პირი, აახილა თვალები და... ძლივს გამოყო დიტომ ცხვირი.

## აზა პასლანიძე

### შინკუკა

თოვლის პაპამ საახალწლოდ მიიწვია ყველა! ამიტომაც კუდის ვარცხნით გართულია მელა. ციყვუნიაც ულამაზეს ბენვის კაბას ირჩევს. საზეიმო ნაძვის ხეზე ნახავთ ოქროს გირჩებს. მიდიან და გზას უნათებთ ვერცხლისფერი შუქი. ბაჭიებსაც როგორ შვენიით ეს ქათქათა ქურქი.

# სახარო საჩუქარი

გადაპენტა ფიფქმა ეზო,  
 გარეთ გასვლა უნდა რეზოს.  
 – გახველებს და სიცხე გინევს  
 და საწოლში უნდა იწვე! –  
 ეუბნება მშვიდად ბებო,  
 გაურია რძეში ერბო,  
 – დალიეო! – დააძალა,  
 სულის მოთქმა არ აცალა.  
 ჩამოაცვა ფეხზე წინდა,  
 მერე ცხვირი მოუნმინდა...  
 რეზო უფრო ასლუკუნდა,  
 ენატრება ციგა, გუნდა...  
 უნდა გარეთ, უნდა თოვლში...  
 აღარ უნდა რძე და ბორში!  
 და თუ გჯერათ სასწაულის,  
 გაიხარებთ ახლა გულით.



## კვიციანი



შეამონმე, რა იცი სანტა  
 კლაუსის შესახებ?

1. სად არის სანტა კლაუსის რეზიდენცია?  
 ა. ლონდონში  
 ბ. ლაპლანდიაში  
 გ. პარიზში
2. რომელი წმინდანის პროტოტიპად მიიჩნევა სანტა კლაუსი ევროპაში?  
 ა. წმინდა გიორგის  
 ბ. წმინდა პავლეს  
 გ. წმინდა ნიკოლოზის
3. რომელი ცხოველია შებმული სანტა კლაუსის მარხილში?  
 ა. ცხენი  
 ბ. ირემი  
 გ. ძაღლი
4. რით დააქვს საჩუქრები სანტა კლაუსს?  
 ა. ჩემოდნით  
 ბ. ხურჯინით  
 გ. ჯიბით
5. სანტას ჩაცმულობა 1931 წელს გამოჩნდა პირველად ერთ-ერთი გამაგრებელი სასმელის ეტიკეტზე და მას შემდეგ მისი ნითელი სამოსის სახე-და სტილი აღარ შეცვლილა. რომელია ეს სასმელი?  
 ა. სპრაიტი  
 ბ. ფანტა  
 გ. კოკა-კოლა
6. რომელ საათზე დგება ახალი წელი?  
 ა. ღამის 12:00 საათზე  
 ბ. საღამოს 6 საათზე  
 გ. როცა საჩუქარს ვიღებ.



აქ რა უნდა ნითელ კაბას?  
 ვინ დგას მის წინ? – თოვლის პაპა!  
 საკვამურში ჩაძვრა,  
 ჰოდა, ბებოს წასვლას დაელოდა...  
 და ბუხრიდან ჩამომხტარმა  
 ჩვენი რეზო გაახარა...  
 პაპა მარტო იყო, განა?  
 საჩუქრებიც მოიტანა...  
 რეზო ისე გახალისდა –  
 დაავიწყდა „გარეთ მინდა!“ ...  
 და, კარგად რომ დააკვირდა,  
 ახითხითდა და აყვირდა...  
 აუძგერდა ისე გული...  
 ბებო იყო გადაცმული...



იპოვე განსხვავება და  
 ამოიცანი, ამ სამი სანტადან  
 რომელია გადაცმული ბებია?

მხატვარი  
 როენა შელეგია



# თოვლის კაცი

ერთი გუნდა,  
ორი გუნდა,  
სამი გუნდით ნაგები.  
დგას ეზოში თოვლის კაცი  
ცივი ქარის ნაცემი.

დაინახეს პატარებმა  
რა მოსვლია ესო?  
მოჭლრეცია ცხვირი, პირი  
და შეჰყურებს მზესო.

ჩაუტანეს და მოასხეს  
შარფი, ქუდი ნაქსოვი,  
სიმღერებით გაუთბეს და  
გაუნათეს მას გული.

დგას ეზოში ბედნიერი,  
ბავშვებშია ჩაფლული,  
სამი გუნდით აგებული  
თოვლის კაცი ჩაცმული.



ლექსი და ნახატი  
მაკა კვაჭაძის



საქართველოს პატარებისთვის

# ფისო თოვლი



– შარშან ცას ერთი ფიფქი არ გაუმეტე-  
ბია, ნელს კი, აი, რა ხვავრიელად თოვს, – ბე-  
ბომ ძლივს მოსწყვიტა თვალი დათოვლილ  
ეზოს, რომელიც სამზარეულოს ფანჯრიდან  
ყველაზე კარგად ჩანდა.

როგორც კი ბებო თვალს მიეფარა, პატა-  
რა თეთრი ფისო რის ვაი-ვაგლახით აბობლ-  
და რაფაზე, ფანჯრის ქვედა კუთხეში ყინ-  
ვისგან დაორთქილილი შუშა თათით საგულ-  
დაგულოდ განმინდა და თეთრად გადაპენ-  
ტილ არემარეს მიაჩერდა.

– რა საშინელებაა! – ხასიათი ნაუხდა ფი-  
სოს, რომელსაც მანამდე თოვლი არ ენახა.

– გაზაფხულიდან მოყოლებული ჩემნაი-  
რი თეთრი, ქათქათა და ფითქინა არავინ და  
არაფერი მინახავს, ახლა კი... ახლა გამოჩნ-  
და ეს თოვლი; დამაცადე, გამოვალ და ნახე,  
რას გიზამ! – ფისუნია იქვე, მისი ფანჯრის  
წინ მდგარ თოვლის კაცუნას მომუშტული  
თათი მოუღერა.

სახლიდან გამოპარვა არ გასჭირვებია. აი,  
თოვლის კაცუნასთან, უფრო სწორად, კა-  
ცუნებთან გამკლავება კი არ აღმოჩნდა მთ-  
ლად იოლი საქმე.

– რამდენი ყოფილან?! – შეშფოთდა ფი-  
სუნია და, რახან სხვა ვერაფერი მოიფიქრა,  
ხან ერთს დაუნყო ძირის გამოთხრა, ხან მეო-  
რეს, მაგრამ პანია თათები მალე მოეყინა.

– მე თქვენზე თეთრი და ქათქათა ვარ! –  
დაჟინებით იმეორებდა ფისო და არც დათ-  
მობას აპირებდა. ბედად, იქვე, დიდი ნაძვის  
ქვეშ, ტალახად ქცეული თოვლი დაინახა, ისე

გაიხარა, ისე, რომ დაუფიქრებლად ეცა ტა-  
ლახს, თათები კარგად ამოავლო ტლაპოში და  
საგულდაგულოდ დათხიპნა მის შორიახლოს  
მდგარი უკლებლივ ყველა თოვლის კაცუნა.  
ზოგს სახე დაუსვარა, ზოგს – ზურგი, ზოგიც  
სულ ერთიანად ლაფით დაფარა.

– ახლა ხომ თქვენზე თეთრი ვარ! – არ  
წყებოდა აღტაცებული ფისუნას შეძახი-  
ლები, მაგრამ უეცრად ყინულის სქელ ლო-  
ლუაში თავის ანარეკლს მოჰკრა თვალი.

შერცხვენაც ამას ერქვა. ერთ დროს ქათ-  
ქათა და თოვლის გუნდასავით თეთრი ფისო  
ახლა ყურებიდან კუდამდე ტალახში ამოვლე-  
ბულიყო, მართლაც არ იყო კარგი სანახავი.

– ვაიმე, ბებო ვერ მიცნობს, ან, თუ მიც-  
ნო, წამეჩხუბება! – შეშინდა ფისო. ვერაფე-  
რი მოიფიქრა, რა ექნა. მისი დახმარება მხო-  
ლოდ თოვლს შეეძლო, მაგრამ რა ნამუსით  
უნდა ეგორავა თოვლში – აკი, თავად ლან-  
ძღავდა, ეტოლებოდა და ეჯიბრებოდა?!

– რას ჰგავხარ, ქურქი გაინმინდე! – მოუ-  
ლოდნელად გაისმა თოვლის კაცუნების  
ყინულივით ცივი ხმა და აქეთ-იქიდან გუნ-  
დების ცვენა დაიწყო.

– ეს შენი ამპარტავნობისთვის!

– ეს ჩვენი დათხუპნისთვის! – ყველა გუნ-  
დას ასეთ შეძახილებს ამატებდნენ კაცუნები.

ისევ ძველებურად ქათქათა, მაგრამ გვა-  
რიანად გვერდებდაჟეჟილი ფისო ძლივს მი-  
ლასლასდა სახლში. ის დღე იყო და ის დღე,  
მას შემდეგ აღარასოდეს მონდომებია ვინ-  
მესთან უაზრო გაჯიბრება.



# თოვლის ბაბუას კბილი ასტკივდა

ახალი წლის დილას მამას კბილი ასტკივდა. დედა სტომატოლოგია. სთხოვა, კლინიკაში წავიდეთ, გიმკურნალებო, მაგრამ ვერ დაიყოლია, ბორმანქანის დანახვაც არ მიინდაო. ცოტა ხანში ტკივილმა გაუარა და მეგობრებთან წავიდა.

ათიოდე წუთში კარზე ზარის ხმა გაისმა. კარი გავაღეთ და... შემოვიდა თეთრჩოხიანი თოვლის ბაბუა!

– თოვლის ბაბუა! თოვლის ბაბუა მოვიდა! – სიხარულისგან კინალამ გავგიჟდით პატარები.

– შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი – ჩემი, კვალი – ანგელოზისა! – დაგვლოცა მან.

ნაძვის ხესთან მივიწვიეთ. გაგვიკვირდა, საბასთვის ხვეწნა არ დაგვჭირვებია, ისე გვიმღერა.

– ყოჩაღ! – შეაქო თოვლის ბაბუამ. – კარგი სიმღერისათვის კარგ საჩუქარს იმსახურებ! გაიქეცი, ნახე, სადარბაზოშია შენი საჩუქარი!

კართან ველოსიპედი დაგვხვდა. საბა სიხარულისგან მეცხრე ცაზე აფრინდა, თუმცა მადლობის თქმა არ დავინწყებია:

– გმადლობ, თოვლის ბაბუა! სწორედ ასეთ ველოსიპედზე ვოცნებობდი!

– აბა, მოცეკვავე გოგონებო, თქვენ რით გამახარებთ? – გვკითხა თოვლის ბაბუამ მე და ჩემს დას.

– საიდან იცით, რომ მოცეკვავეები არიან? – გაოცდა საბა.

– ყველაფერი ვიცი. ვიცი, რომ ერთს ანიჰქვია, მეორეს – მარი. ტყუპები არიან, პირველკლასელები, ერთ მერხზე სხედან და კარგად სწავლობენ.

– ისიც იცით, კანფეტებსა და ჩურჩხელებს ჩუმ-ჩუმად რომ ვჭამ?

– ბევრი ტკბილეული მადას რომ წაგიხდენს ხოლმე. ვიცი, ყველაფერი ვიცი!

საბას შერცხვა და თავი ჩაღუნა.

მე და მარიმ ვიცეკვეთ და თოვლის ბაბუას ტაში და საჩუქრები დავიმსახურეთ. საცეკვაო კოსტიუმები გვაჩუქა! გულმა არ მოგვითმინა, გამოვენწყეთ და კიდევ ვიცეკვეთ.

– სხვა საჩუქრებიც მოგიტანეთ! – გვითხრა თოვლის ბაბუამ და ხურჯინიდან წიგნები ამოალაგა. – ძალიან მინდა, ეს ლამაზად მოხატული წიგნები წაიკითხოთ! იმეგობრეთ

# გამოსანე

\*\*\*

ღამე, როცა დავიძინებთ,  
ვინ გვიხატავს ფანჯრის მინებს?  
.....

\*\*\*

ზამთარს არ უშინდება,  
ქარს ვერ გაუძარცვია,  
ტანწერნეტას ყოველთვის  
მწვანე კაბა აცვია!  
.....

მზია მამარიშვილი

\*\*\*

სასურველი სტუმარი,  
ზამთარში რომ მოდის,  
ფაფუკი და ქათქათა,  
ნეტავ რაა?  
.....



მათთან! ისინი საინტერესო ამბებსაც გიამბობენ და ბევრ რამესაც გასწავლიან!

უცებ თოვლის ბაბუა მოიღუშა და ლოყაზე ხელი მიიღო.

– კბილი აგტკივდათ? – ჰკითხა დედამ. მან თავი დაუქნია.

– დილას მამასაც სტკიოდა კბილი, მაგრამ დედას კლინიკაში არ გაჰყვა, ბორმანქანის შეეშინდა, – უთხრა საბამ.

– თოვლის ბაბუას კი არაფრის ეშინია! – ვთქვი მე. – ასე არ არის, თოვლის ბაბუა?

– ასეა... არაფრის მეშინია, – კვერი დამიკრა მან. გვითხრა, ჩემზე არ იდარდოთ, თქვენი დედიკო უცებ მომარჩენსო...

დედა და მამა ერთად დაბრუნდნენ. მამამ გვიამბო:

– სახლში რომ მოვდიოდი, კლინიკაში მიმავალი დედა და თოვლის ბაბუა შემხვდნენ. თოვლის ბაბუის ხათრით მეც ვიმკურნალე. ბორმანქანა გაბრაზებული ფუტკარავით კი ბზუოდა, მაგრამ არაფერი მტკენია. თქვენი დედიკო საუკეთესო ექიმი ყოფილა! თოვლის ბაბუამ დამშვიდობებისას უთხრა, თქვენ კეთილი ფერია ბრძანდებითო!

### მხატვარი ბიორბი ჩაჩანიძე



### გული სალუქვაძე

\*\*\*

დაძუნძულებს ტყეში მუდამ,  
მას რა უნდა?

– თაფლი!

უნდა შინდიც, უნაბიც...

– კიდევ?

– კიდევ თბილი ბუნაგი  
უნდა ძილის გუდას.

.....

\*\*\*

პანანინა მწერია,  
ძალზე საყვარელია,  
ლამე სახლში არ ათევს,  
დაფრინავს და ანათებს.

.....

\*\*\*

ლამე ბრწყინავს  
დღე კი სძინავს.

.....



# ცოვადთა ცოვრება

ციყვებს ძალიან უყვართ ადამიანები და არ გაურბიან მათ, განსაკუთრებით, თუ თხილით ან მზესუმზირით უმასპინძლებით. იმის გამო, რომ საკვებს ზამთრისთვის ინახავენ, ისინი ყოველთვის გამოგართმევენ იმდენს, რამდენსაც მიანვდით. თუ ერთ დღეს დააპურებთ, მეორე დღეს აუცილებლად მოგაკითხავენ იმავე ადგილას, რათა მორიგი ულუფა მიიღონ.



ციყვები შემოდგომაზე იწყებენ ზამთრის მარაგის შეგროვებას, დღეში 3 თვის სამყოფი სანოვარის შეგროვება შეუძლიათ. თუმცა ძალიან გულმავინეები არიან და სამალავი ხშირად ავინყდებათ, მინაში ჩაფლული გირჩები კი ლამაზ ხეებად იზრდებიან.



ყველაზე პატარა აფრიკული ჯუჯა ციყვი – მისი სიგრძე ცხვირიდან კუდამდე სულ რაღაც 2.5 სანტიმეტრია



ციყვებს შეუძლიათ 30 მეტრიდან გადმოხტნენ და არაფერი იტკინონ, რადგან მათი კუდები პარაშუტის ფუნქციას ასრულებენ.



# იცი თუ არა, ჩემო..

მამრი ციყვი მეტ დროს ხარჯავს ბუნვის მოვლაში, ვიდრე მდედრი. ციყვები ყველაზე სუფთები არიან მღრღნელებს შორის.



ციყვი ძალიან კარგად ცურავს, მისი დახრიობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ კუდი დაუსველდება.



ციყვებს კარგად განვითარებული ყნოსვა აქვთ, მამრს შეუძლია 2 კილომეტრზე იგრძნოს მდედრის სუნი.



ციყვები ზამთარში ქორწინდებიან. ერთი მდედრის ირგვლივ რამდენიმე მამრი შეგროვდება და ერთმანეთს ეჩხუბებიან. ვინც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება, ის დაიპყრობს მდედრის გულს. მამრ ციყვებს ფუმფულაკუდიანი მდედრები უფრო მოსწონთ.



მანანა ქურღაძე

## ნუციკოს სოფელი

დღეს სოფელში მიჰყავს ბებოს  
 პანანინა ნუციკო,  
 დაახვედრებს თბილ ბუხართან  
 ფისუნია ცუციკოს.  
 სოფელს თეთრი თოვლი ფარავს,  
 უხარია გოგონას,  
 ხედავს, მთიდან რა ლამაზი,  
 თოვლის გუნდა მოგორავს.  
 ჟრიამულით შეეგებნენ  
 სოფლის გოგო-ბიჭები,  
 სიხარულით მეგობარს  
 დაუკრიჭეს კიჭები.  
 იხტუნეს და ითამაშეს,  
 გაეყინათ თითები,  
 ნუციკოს კი სახლში ბებომ  
 დაახვედრა წინდები.



თინა ჭაჭია

## ახალი წლის ღილა

ახალი წლის დილას,  
 როცა თოვს და ყინავს,  
 ნავალ, ვნახავ ბებოს,  
 ვიცი, მას არ სძინავს.  
 დასტრიალებს ქურას,  
 მხალს ხარშავს და წურავს,  
 გამასინჯებს ცოტას,  
 „ჭორავს“ ჩემს ძმას შოთას:  
 – ღმერთო, ამდენ გოზინაყს  
 ჩვენ, დიდებიც ვერ ვიტანთ!

გაუსკდება მუცელი,  
 ველარაფერს ვუშველით.  
 შემოვიდა პაპა –  
 რას ჭორაობთ აქა?  
 გოზინაყით ნაწყენი  
 ვის უნახავს ქართველი?  
 შემოიგა ხონჩით,  
 სიტყვა ვთქვი და მოვრჩი!



18

ლია კოხალაძე

## ჩემი თოვლის ბაბუა

დღე და ღამე თოვლშია  
 და არ უფრთხის ცივ ნიავს,  
 არც ფეხი გასთოშვია,  
 არც ტანზე შესცივინია.  
 სათამაშოდ გვაქვებებს  
 ლადლადა და ლაბუა,  
 ფუმფულა და ფაქიზი  
 ჩემი თოვლის ბაბუა.




მხატვარი  
მანანა მორჩილაძე




## ანდაჯა

ზამთარს ეკონკე,  
ზაფხულს ეკობტეო.




## ენის გასაფეხები

უზარმაზარმა ზარმა  
ზანზარით ზარმაც ზაზუნას  
დასცა თავჭარი.





მწვანემ დაისზა თეთრი თავთავი  
თეთრ თითისტარზე თეთრად  
სართავი.



## უარაჯა

ეფინება მთას და ბარს  
მოქათქათე მანდილად,  
ალბათ შუა თანხმოვანს  
ამოაკლებ მარტივად.  
ბოლოში კი ანბანის  
ბგერა გვინდა პირველი  
და შარადის პასუხი  
სახელია ფრინველის.



## ამოყანა

ამ სალამოს ეზოში  
ხვავიანად მოთოვა,  
საგუნდაოდ გავიდნენ  
შუქია და ფოთოლა,  
ბამბასავით ფაფუკი  
თოვლი შეკრეს გუნდებად,  
ყოველ გუნდის კეთებას  
თითო ორ წამს უნდება.  
ფრენენ თეთრი ბურთები  
იქითკენ და აქეთკენ,  
მიტხარ, ნუთში ორივე  
რამდენ გუნდას აკეთებს?



# იკოპე ნახატები დამალული საბნები



მხატვარი ნატალია კუცია

ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური  
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი



ნახატი ყდაზე: ნოდარ სუხიტაშვილისა  
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com),  
facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა  
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.